საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე ,,ქ.თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში (ს/კ 01.10.16.004.172; ს/კ 01.10.16.004.179; ს/კ 01.10.16.004.188), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილ უბნებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები".

შ.პ.ს. ,,დომუს დეველოპმენტი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის მაისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში (ს/კ 01.10.16.004.172; ს/კ 01.10.16.004.179; ს/კ 01.10.16.004.188), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილ უბნებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში (ს/კ 01.10.16.004.172; ს/კ 01.10.16.004.179; ს/კ 01.10.16.004.188), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილ უბნებზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ალ. პასიკაშვილი. თიხური ქანების თვისებები განისაზღვრა მათ ლაბორატორიაში. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი თვისებები განსაზღვრული იქნა საქართველოს გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე----------10გვ.
2. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 1 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა----------1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრებისლითოლოგიური სვეტები----------5 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ----------6 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს ორი 18 სართულიანი შენობა, სარდაფის ორი სართულით. კონსტრუქციულად შენობები გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 10 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 242 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, ძნელადპლასტიკური;
3. ფენა 2/ – თიხა, რბილპლასტიკური კონსისტენციის;
4. ფენა 3 – თიხნარი, რბილპლასტიკური კონსისტენციის;
5. ფენა 4 – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული;
6. ფენა 5 – არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიურიდა კლიმატური პირობები. მოცემულიაზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა წინადადებას მომავალი შენობების ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 3.5 მეტრ სიღრმეზე. წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიულობას სხვადასხვა ცემენტისგან დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. №13-ში (ს/კ 01.10.16.004.172; ს/კ 01.10.16.004.179; ს/კ 01.10.16.004.188), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილ უბნებზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე